სახალხო გაზეთი

№ 155 ხუთშაბათი, 11 ნოემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 4 მ., საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ხ. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 სა[illegible] 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრეს: Тифлисъ, Большая Ванкская ул., N 12, Семену Пашалашвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

---

6 ნოემბერს, საფრანგეთის ქ. კანნაში ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებულის სამთო ინჟინერის

გიორგი გაბრიელის ძის დეკანოზიშვილის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქმნება პანაშვიდი ხუთშაბათს, 11 ნოემბერს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ და მისი **მარიამ გაბრიელის ასული, სიძე იოსებ დავითის ძე ქანანაშვილები, ძმიშვილი ერეკლე გიორგის ძე დეკანოზიშვილი.** (2—2)

ხუთშაბათს, 11 ნოემბერს 2½ საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქმნება პანაშვიდი გარდაცვალებულ

გიორგი დეკანოზიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც განსვენებულის მეგობარნი და ნაცნობნი აუწყებენ საზოგადოებას. (2—2)

ღრმად დამწუხრებულნი—**ელენე ფილიპეს ასული იოსელიანისა, მელიტონ და შალვა იოსელიანები** აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი—ძვირფასი შვილის, ხოლო მეორენი—ძმის

აზ. აკაკი დიმიტრის ძის იოსელიანის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება დანიშნულია შაბათს, 13 ნოემბერს, დილის 10 ს., ს. კადარში (სამეგრელო). (209 1—1)

მწუხარებით გულ-მოკლულნი **ბარბარე ივანეს ასული მათიაშვილისა, ალექსანდრა დავითის ასული მათიაშვილი,** და **პელაგია ივანეს ასული დარბაისელი,** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უცბად გარდაცვალებას (კვირას, 7 ნოემბერს), პირველის საყვარელ ქმრისა, მეორის ძვირფას ბიძისა და უკანასკნელი—სიძისა

ნიკოლოზ (ივანე) ზაქარის ძის მათიაშვილისას.

პანაშვიდები გადახდილ იქმნება ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე, დიდუბის ქუჩაზე, საკუთარ სახლში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (3—210—2)

რ. ა. პორტუგალოვისა

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან

დიდძალი

ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები,

იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

კაცების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკომისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ხიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—35)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

კარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

[illegible]—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.

ე. გ. ფელდსერთვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—485)

მოითხოვეთ ახალი პაპიროსი

„ანფისა"

ფასი 15 ცალი 6 კაპ.
„ 25 „ 10 კაპ.

„მირის" ფაბრიკისა.

მიუხედავად იაფი და ყველასათვის მისაწვდომ ფასებისა, პაპიროსი „ანფისა" შემზადებულია მაღალ ხარისხოვან და გემოვნების თამბაქოსაგან.

მიაქციეთ ყურადღება საუკეთესო ხარისხს და გემოვნებას. (15—150—9)

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 21.

ხუთშაბათს, 11 ნოემბერს, 1910 წელს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

სატანა

დრამა 5 მოქმედებად და 6 სურათად, ი. გორდინისა, თარგ. ვ. შალიკაშვილისა მონაწილეობენ: ქ-ნნი: დავითაშვილი ნ., ვიქტორელი მ., ლეჟავა ო., ლოლუა ა., პიერრეტა ა., ქილარჯიშვილი მ., მოთამე ა., ჯავახიშვილი ნ. ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი ვლად., არადელი ვ., გვარამე ნ., ზარდალიშვილი ი., ძელივანი ბ., მგალობლიშვილი დ., მამფორია ი., შალიკაშვილი ვ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრ. საზოგადოება. რეჟისორი **ვლ. ალექსი მესხიშვილი.**

ადგილების ფასი: გალერეა 20—40 კ.-მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში შეგირდებისთვის 50 კ.

დამსწრეთა საყურადღებოდ: თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებენ, ამიტომ მესამე ზარის შემდეგ ყველანი თავ-თავის ადგილზე უნდა ისხდნენ.

მზადდება წარმოსადგენად: „ედმონდ კონი", „იმედის დაღუპვა", „ყაჩაღები", „მისს გობს" და სხვა.

საქართველოს ეგზარხოსის კანცელარია,

კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარის

◆ **მაღალ ყოვლად სამღვდელო ინნოკენტის** ◆

განკარგულებით, აუწყებს, რომ მისის უდიდებულესობის კავკას. ნამესტნიკის **სასახლეში შესვლა 14 ნოემბერს,**

საზოგადოების საიუბილეო კრებაზე,

მოხდება ბილეთებით,

რომელთაც მისცემენ ეგზარხოსის კანცელარიაში, დილის 10 საათამდის. [illegible] იმ პირთ, რომელთაც [illegible] ბარათები იუბილეიზე, თან იქონიონ ეს ბარათები, ან მათ ნაცვლად ახლები შეიძინონ. (2—212—1)

ბუნებრივი კახური

ღვინოები

კარდენახის საუკეთესო ზვრებიდან

ძმ. ხელაშვილებისა.

სარდაფი ნიკოლოზისა და ნეკრასოვის კუთხის სახლში NN 14 და 11.

სარდაფში ინახება გარდა ახალისა ძველი, 6—7 წლის, ღვინოებიც.

ბოთლი 25 კ.-დან 1 მანეთამდე.

(20—195—3) პატივისცემით—მოსე ხელაშვილი.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი საშშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება, დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

წალკალამანიძე გ. გ. შინ., სამშ. და საბ. 10—12 ს.

ჭავჭავაძე ტ. ს. შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 12—1 ს.

პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.

სობოლევსკი გ. გ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაციონ[illegible], ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა [illegible]. სათასოოით. (200—ნ.—322)

მასწავლებელი

ამზადებს შეგირდებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისათვის. ნახვა შეიძლება დილის 8—11 საათამდე და საღამოს 3—5 ს-მდე. მიხაილოვის ქ. № 144. (25—162—18)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., სა ღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. (0—260)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვე სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე გადავიდა

იზმაილოვის ქუჩაზე N 2. იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი გ. ნ. მამაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ზალ.—76)

ექიმი ჯაფარიძე

ქ. ქუთაისში

იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვების და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ-დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—8)

ექიმი რ. დ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ბაკინოვის ქუჩა N 7. (თ.—180—26)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. 20. (0—6.—80)

ექიმი ე. ი. მინასიანცი.

სწამლობს შინაგან, საბავშვო და კუჭის ავადმყოფობას; პროფესორ Mathieu-სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქუჩა N 39. (100—18)

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

გამოცემა

მიხეილ ნემსაძისა

ფასი 10 კაპეიკი,

ადრესი:

ტფილისი, ქართველთა ამხანაგობის სტამბა. ტელეფ. № 372.

ტფილისი, 11 ნოემბერი

„განათლების" სკოლის გამო.

„განათლების" საზოგადოებაზე გვინდა სიტყვა ჩამოვაგდოთ. ეხლა-ხან ამ საზოგადოების წლიური კრება მოხდა. კრებაზე ბ-ნმა ქურდიანმა სკოლის ტიპის საკითხი აღძრა. „განათლების" ეხლანდელი სკოლა თავის პროგრამით საქალებო პროგიმნაზიას წარმოადგენს. როგორც ვიცით, ჩვენს ქვეყანაში პროგიმნაზიებს და გიმნაზიებს რაღაც ანდამატიური მიმზიდველობითი ძალა აქვს. არავინ არ იცის, რა შეადგენს პროგიმნაზიების ღირსებას, მაგრამ ისინი მაინც სოკოსავით მრავლდებიან. ეგრედ წოდებულ ქართველ მოღვაწეების მეცადინეობით დაარსდა უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში პროგიმნაზია გორში, თელავში, სურამში, ხაშურში, ხონში და სხვაგან. გიმნაზიური და პროგიმნაზიურ განათლების თაყვანისმცემელთა ჯგუფს ეკუთვნის „განათლების" წევრთა უმრავლესობაც. როგორც სხვები, ესენიც უძლურნი არიან პროგიმნაზიის სარგებლობა დაგვანახვონ, მაგრამ ეს გარემოება მათ სრულებით ხელს არ უშლის,—არა ჩვეულებრივი ენერგია გამოიჩინონ და ქართველ ქალებისათვის კი პროგიმნაზიის ტიპის სასწავლებელი შეინახონ.

ტრადიცია ძნელი დასაძლევია და მით უფრო ძნელი, რაც უფრო უგუნურია. გონიერ ტრადიციას და საბუთებზე დამყარებულ მოქმედებას შეგიძლიანთ ებრძოლოთ, მაგრამ როგორ გაუმკლავდებით ისეთ საქციელს, რომელიც არავითარ მოსაზრებას ახლო არ იკარებს. პროგიმნაზიები და გიმნაზიები რომ ბავშვებს არც საჭირო ცოდნას აძლევენ და არც პრაქტიკულ ცხოვრებისთვის უხსნიან გზას, ეს საყოველთაოდ აღიარებული, ყველასაგან ცნობილი ჭეშმარიტებაა. ამისდა მიუხედავად ჩვენი გამბედნიერებელი „საზოგადო მოღვაწეები" მაინც თავგადაკლული ეჯიბრებიან ერთმანეთს სწორედ პროგიმნაზიების გახსნაში. ჩვენის აზრით, ეს ყოვლად უვარგისი მიმართულება კერძო სასწავლებლების საქმისა იქიდან წარმოსდგება, რომ ჩვენის მოღვაწეების მოქმედება არც რაიმე ფართო მიზნისა და იდეალისაგან გამომდინარეობს და არც რაიმე, სასტიკად განსაზღვრულ, პრინციპზეა დამყარებული. ხვალ რომ დაუჯერებელი ამბავი მოხდეს და სახალხო განათლების სამინისტრომ ყველა საშუალო სასწავლებლები საიუნკრო სკოლებად აქციოს, დარწმუნებული ვართ ჩვენი „საზოგადო მოღვაწეებიც" უმალ ფერს იცვლიან და იქნება ქალთა საიუნკრო სასწავლებელიც დაგვიარსონ. კერძო თაოსნობა რომ მთავრობის მოქმედებას არ ეწინააღმდეგებოდეს—ამას, ვთქვათ, ლოიალობა მოითხოვს. მაგრამ წინააღმდეგობა სხვა არის და მთავრობისაგან ნებადართულ ფარგალში თვითმოქმედების გამოჩენა კიდევ სხვა. ტყუილად ჰგონიათ ჩვენს „მოღვაწეებს", რომ თავად-აზნაურობისაგან სუბსიდიების მიღება და ამ ფულით მმართველობის ტიპის სასწავლებლების დაარსება—თვითმოქმედება და საზოგადო მოღვაწეობა იყოს. ჩვენის აზრით, ეს უფრო თავის მოტყუება და მოხუც ბავშვების ჩხირკედელაობაა, ვიდრე მოღვაწეობა. რა თქმა უნდა, არაფერი საწინააღმდეგო არ გვექნებოდა, [illegible] ბით" შექციათ თავი და დაეკმაყოფილებინად პატივმოყვარეობა ჩვენს „უანგარო მოღვაწეებს", მაგრამ საქმეც ის არის, რომ ეს თავის შექცევა ხალხის მისწრაფებას არა სასურველ მიმართულებას აძლევს და აფერხებს გონივრულ ნიადაგზე ფართო მასსის თვითმოქმედების დაყენებას.

გიმნაზიები და პროგიმნაზიები რომ მხოლოდ და მხოლოდ მოხელეებს ამზადებენ—ამას არ უარჰყოფს თვით სასკოლო მთავრობა. მოხელეობის დასახვა სახალხო განათლების მიზნად რომ შეუწყნარებელია—ესეც საანბანო ჭეშმარიტებაა. კავკასიის სასკოლო საქმის უფროსი გამგე, სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ბ-ნი რუდოლფიც კი იმ შეხედულებისაა, რომ კავკასიას ესაჭიროება ყოვლის უწინარეს სამრეწველო და არა კლასსიკურ და გიმნაზიურ განათლების დაწინაურება. ამის და მიუხედავად ჩვენის საზოგადო მოღვაწეების ფიქრი და გრძნობა რუტინას ვერ გასცილებია, ბრმად და ყრუდ ეურჩება ყოველგვარ გონივრულ მოსაზრებას და სასკოლო საქმეში პროგიმნაზიებზე უძვირფასესს ვერაფერს ვერა ჰხედავს.

კარგად ვიცით, პატივისა და სახელის მოყვარე „მოღვაწენი" დიდად გაგვიწყრებიან, რომ, ხოტბისა და ქების მაგიერ, საყვედურს უთვლით, მაგრამ „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი"- საზოგადო მოღვაწეობა არც გასართობია, არც ჩხირკედელაობა. ვისაც ხალხის ცხოვრებაში თავის წვლილის შეტანა გულწრფელად სწადიან, ის არც ერთს ისეთს საქმეს არ მოეკიდება, რომლის მნიშვნელობაც საკმაოდ შეგნებული არა აქვს. ვიდრე „განათლების" საზოგადოება პროგიმნაზიის ტიპს ამოირჩევდა თავის სკოლისათვის, საქმე ასჯერ უნდა მოეფიქრა და ისე გადაეჭრა. ნამდვილად-კი „განათლების" უმრავლესობამ კრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზე აღძრული კითხვა სისკოლო ტიპის შესახებ განხილვის ღირსადაც არა სცნო და 30 ხმის უმრავლესობით 8 ხმის წინააღმდეგ პირდაპირ უარჰყო. რა ფასი აქვს ჩვენებურ „მოღვაწეების“ თვალში პროგრამას, სკოლის საბოლოო დანიშნულებას და სხვა ამ გვარ საკითხებს? განა სრულიად საკმარისი არ არის, რომ ბავშვები ოთახში რიგზე ისხდებიან და მასწავლებელი გაკვეთილს მისცემს?!.. სახელის მოსახვეჭად ეს სრულიად საკმაოა, ხოლო რაც შეეხება საქმის სარგებლობას, ამაზე ფიქრი და მზრუნველობა ჩვენებურ „მოღვაწეების“ ჩვეულებას არ შეადგენს.

„განათლება“ და მისი პროგიმნაზია ჩვენებურ საზოგადო მოღვაწეობის მხოლოდ ერთი სანიმუშო ეპიზოდია. ამ ეპიზოდიდან საუცხოვოდ ჩანს, რა ძირითადი ნაკლულევანება ახასიათებს მას. როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ჩვენებური საზოგადო მოღვაწეობა მოკლებულია იმ სულიერ შინაარსს, რომელსაც ფართო შეგნებული სამოქმედო პროგრამა იძლევა. აქედან წარმოსდგება ისიც, რომ ჩვენი მოღვაწეები ფართო წრეების თანაგრძნობას ვერ იმსახურებენ. ერთად-ერთი საზოგადოება, რომელიც ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს, წერა-კითხვის საზოგადოებაა. აკი ამ საზოგადოებას ხალხიც თანაგრძნობით ეკიდება! თანაგრძნობის მოსაპოვებლად სრულიად საკმაო არ არის, საზოგადო მოღვაწეობა უწოდოს ათიოდე კაცმა ისეთ საქმეს, რომელიც არც წესიერად აუწონ-დაუწონიათ ინიციატორებს, არც ბოლომდე გაუთვალისწინებიათ მნიშვნელობის მხრივ და არც შეუთანხმებიათ ხალხის საერთო საჭიროებისთვის. ამ გვარ „შინაურ საზოგადო მოღვაწეობის“ დრომ უკვე გაიარა, ძველებური, ვიწრო ჯგუფებრივი, ხასიათი საზოგადო საქმეში აღარა ვარგობს, ეხლა დრო და [illegible] მოღვაწეობის დამყარებას სასტიკად განსაზღვრულ პრინციპებზე და ნათლად წარმოდგენილ ფართო იდეალებზე.

დეპეშები

(პეტერბ. ტელეგრაფთა სააგენტოსაგან)

10 ნოემბერი.

საზღვარ-გარედ

ურმია. ჯებელ-კანდისა და კუჩის შემაერთებელი გზა ქურთების რაზმებმა დაიჭირეს. სალმასისა და კუჩის შორის ტელეგრაფის მავთულები დასწყვიტეს. ადერბეიჯანის მოსახლეობა ქურთებს არ ემხრობა. თავრიზიდან 70 ვერსის მოშორებით, ქურთებმა სოფ. ალმასარაია გაძარცვეს. ქურთები ზიისის ოლქშიაც გამოჩნდნენ. რახიმ-ხანის შვილი ბუიუკხანი აგარზე დაცემას აპირებს მას ეხლა ათასი ყარაჯაგელი მხედარი ჰყავს. ურმიის გუბერნატორმა სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა, რომ ანზელის ბრძოლაში ქურთებს ბია-ბეი ჰსარდლობდა და თავის რაზმებში 150 ოსმალელი ასკერი ჰყავდათ. ოსმალეთის ჯარები საზღვრისაკენ მიდის და მიჯნის ჩასწვრივ ბანაკდება. გუბერნატორმა თავრიზიდან, ხოიდან და სალმასიდან მაშველი ჯარები მოითხოვა. ოსმალეთის ჯარებმა ურმიის ტბის მარცხენა ნაპირებზე სიმაგრეები დაიჭირეს.

ლონდონი. ლორდთა პალატა. ლენსდოუნმა შემდეგი რეზოლუცია გამოაცხადა: ლორდთა პალატასა და საზოგადოებათა პალატის შორის უთანხმოება უნდა მოისპოს. ლორდთა პალატა როზბერის პროექტის მიხედვით შეიცვლება. შეუთანხმებლობის დროს გაერთიანებული კრება გადასწყვეტს სადაო საკითხებს, გარდა ფრიად მნიშვნელოვან საკითხებისა, რომელნიც გადასაწყვეტად ამომრჩეველთა რეფერენდუმს გადაეცემა. ზედა პალატამ ლენსდოუნის წინადადება მიიღო და სხდომა ოთხშაბათამდე გადასდო. პოლიტიკურ წრეებში ხმა დადის, რომ ლენსდოუნის წინადადება საქმეს ვერ უშველის და პალატას მაინც დაითხოვენო. სამინისტროს მომხრენი ამ წინადადებით ვერ დაკმაყოფილდნენ. უნიონისტების აზრით კი პერების გონიერი და ზომიერი საქციელი ხალხზე კარგს შთაბეჭდილებას მოახდენს.

სპარსეთზე რუსეთის რკინის გზის გაყვანის თაობაზე მოსალაპარაკებლად ზვეგინცევი ჩამოვიდა. ამ განზ[illegible] მოღვაწენი თანაგრძნობით ეგებებიან.

ბარცელონა. ღამე ბრბომ ტრამვაის ვაგონი გადააბრუნა და დაამსხვრია, სხვა ვაგონებს ქვები დაუშინეს. პოლიციამ რამდენჯერმე გაფანტა ბრბო.

ვენა. ბელგრადიდან იუწყებიან, რომ მასარიკის მიერ ფორგაჩის მხილების გამო, ვენის ელჩს სიმიჩს გადააყენებენო.

სტამბოლი. ოსმალეთის გაზეთები საბერძნეთისა და ბულგარიის ეროვნულ კონსტიტუციურ ნიადაგზე შეთანხმებას სიხარულით ეგებებიან. ბულგარიელი დეპუტატი დორევი „ტანინ“-ში სწერს, რომ აღმოსავლეთის მშვიდობიანობა ოსმალეთისა, ბულგარიისა და საბერძნეთის შეთანხმებულ მოქმედებით შეიძლებაო.

გაზეთები ტოლსტოიზე სწერენ და მსოფლიო გენიოსად იხსენიებენ.

ლონდონი. გაილენდში ხაზინის კანცლერმა ლოიდ ჯორჯმა სთქვა, რომ უკანასკნელმა არჩევნებმა ლიბერალებს შეძლება მისცა ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებისა. კანცლერმა განაცხადა, რომ ინგლისმა განსაკუთრებულ რეფორმების განხორციელება შესძლო და 2 მილიონ მუშახელი უმუშევრობის დროსა უზრუნველ ჰყო, მთავრობა იმათაც ჰერცოგებივით სახელმწიფოს პენსიონერებად ჩარიცხავსო.

ტანიპანდი. მთამალენის გაფიცულმა მუშეებმა მოსული მატარებლი გაჩხრიკეს, სხვა მაღაროებიდან მუშები ხომ არ მოდიანო. საღამოთი არეულობა განმეორდა. ჯარები გამოიწვიეს. შუაღამის 1 საათზე ქუჩები გასწმინდეს. ორი დააპატიმრეს.

ზალპადო. (ტეხასი) გუანახატის შტატის ქალაქ აკამბასოში შეიარაღებული მეამბოხენი ციხეს დაეცნენ, ტუსაღები გაანთავისუფლეს და ქალაქის გამგეობის კასა გაძარცვეს. ჯარმა მეამბოხენი უკუაქცია. 20 მოკლულია და 80—დაჭრილა.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატამ ფინანსიური ბილლი მეორედ წაკითხვის შემდეგ ერთხმად დაამტკიცა.

როდესაც ასკვიტი პარლამენტიდან კარეტით სახლში მიდიოდა, სუფრაჟისტები ჯოხებით დაესივნენ, ეტლის ფანჯრები ჩაულეწეს და მერე მინისტრ პრეზიდენტის ბინის წინ დემონსტრატიულად გაიარეს, პოლიციამ იგინი გაჰფანტა. 100 სუფრაჟისტი ქალი დააპატიმრეს.

[illegible] გრეის შეეკითხა, რუსეთი სპარსეთიდან ჯარს როდის გაიყვანსო. გრეიმ უპასუხა, თუმცა რუსეთსა სურს მაგრამ დღევანდელ პირობებში ჯარს ვერ გაიყვანსო.

რუსეთი

ადგილობრივ მეურნეობის კანონ პროექტი.

პეტერბურგი. ადგილობრივ მეურნეობის კანონ-პროექტი წინასწარ განსახილველად მეხუთე სესიის კრება მოხდა. იგი განიხილავს სასურსათო, კომუნალურ სესხისა და გზათა გარდასახადების რეფორმებს. მონაწილეობას იღებენ ცენტრალურ დაწესებულებათა წარმომადგენელნი, გუბერნატორები, თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, ქალაქის გამგეობის წარმომადგენელნი, ქალაქის მოურავნი, ერობათა და ქალაქთა საბჭოების წარმომადგენელნი, სულ 100 კაცამდე. სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროს რამდენიმე დეპუტატიც დაესწრო.

სტოლიპინმა სიტყვა წარმოსთქვა: საბჭოს მეხუთე სესიის გახსნის დროს, თქვენს ყურადღებას განსახილველ საკითხთა განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მივაპყრობ. ეს საკითხები ადგილობრივ მკვიდრთა ეკონომიურს პირობებს ეხება და ამის გამო მთავრობა ყოველს თქვენს შენიშვნას და შესწორებას განსაკუთრებულის ყურადღებით მოისმენს. ჯერ ქალაქთა და ერობათა სესხის საკითხს შევეხები. როგორც თქვენ, აგრეთვე მთავრობასაც ესმის, რომ ადგილობრივი მკვიდრნი ადგილობრივ ორგანოთაგან ადგილობრივ ცხოვრების ახალს გაუმჯობესებულ პირობებს ელიან. მთავრობამ ისიც კარგად იცის, თუ ადგილობრივ რა მცირე სახსარი მოეპოვებათ. ხანგრძლივ წარმოებისათვის ერთს თაობაზე ხარჯის დაკისრება, ვგონებ, სამართლიანი არ იქნება. ამისათვის ადგილობრივს სახსარს გრძელვადიანის სესხით უნდა მივაშველოთ. გრძელ ვადიანი სესხი აქამდე მხოლოდ ქალაქებს ეძლეოდა; ამასთანავე მხოლოდ დიდ ქალაქებს, რომელნიც საობლიგაციო სესხს ყოველთვის ხელსაყრელად ვერ ანაღდებდნენ. რამდენად ძნელია ასეთი ოპერაცია, იქიდანაც სჩანს, რომ 1909 წ. ივლისამდე სახელმწიფოს 895 ქალაქიდან ამ გვარ სესხით მხოლოდ 57 ქალაქს უსარგებლნია. რაც შეეხება ერობათ, თქვენც მოგეხსენებათ, ბატონებო, რომ იგინი ასეთ სესხის აღებას სრულებით მოკლებულ არიან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საკუთარ თანხიდან აღებულ სესხს ან, იშვიათ შემთხვევაში, სახელმწიფო ხაზინაში უძრავ მამულის დაგირავებით სესხის შოვნას.

მთავრობა მუდამ ხელს უწყობდა ერობათა მისწრაფებას და კიდევაც დაეხმარება ისეთ საქმეებში, როგორიცაა: საყოველთაო განათლება, აგრონომიული შემწეობა, გზების გაყვანა. და სხ.

მთავრობამ გადასწყვიტა, — როგორც ერობათ ისე ქალაქებსაც სესხი ეძლიოს არა შემთხვევითი, არამედ მოწეს-რიგებული, ხელ-მისაწდომი და იაფი.

სესხი შეიძლება მოეწყოს კრედიტ-აქციონური, ურთ-ერთ საზოგადოებრივი და სახელმწიფო. თუმცა მთავრობა საადგილ-მამულო ბანკის სესხის გაცემის უფლებას არ შეეხება, მაგრამ სახიფათოდ კი მიაჩნია კერძო ბანკთა მონოპოლიად გახადოს ეს საქმე.

მთავრობას საშიშრად მიაჩნია კერძო ბანკთა და წარმოებათა მიენიჭოთ საეკზეკუციო უფლება ერობათა და ქალაქთა შესახებ. ამ საკითხს სხვა და სხვა უწყებანი სხვა და სხვა ნაირად უცქერიან.

რაც შეეხება საზოგადო-საურთიერთო კრედიტს, ჩვენ მხოლოდ თანაგრძნობით უნდა ვეკიდოთ, თუმცა არ უნდა გვავიწყდებოდეს, თუ რა ღარიბია რუსეთი, რა ძნელია, რომ ასეთმა დაწესებულებამ საზღვარ გარეთული სესხი გაანაღდოს. უნდა ვახსოვდეს, რომ საფრანგეთში — ამ ფულის ქვეყანაში, — ასეთ დაწესებულებას მეტად სამძიმო 7 პროცენტიან გადასახადს ართმევენ და საზღვარ გარედაც ეს საქმე ჯერაც შესაფერად ვერ მოწყობილა, თუმცა სახელმწიფო ყოველის მხრივ ხელს უწყობს. განა წარმოსადგენია, რომ ასეთს მდგომარეობაში, მთავრობა საურთიერთო კრედიტს ამოეფაროს და სახელმწიფოს სესხის საქმე არ მოაწესრიგოს? ასეთი საქციელი მთავრობის მხრივ უღირსად ხელის დაბანა იქნებოდა. ამისათვის მან სახელმწიფო სესხის მოსაწყობად გეგმა შეიმუშავა.

ეს გეგმა ხაზინის პასუხის მგებლობის შეზღუდულ პრინციპზე დამყარებული და ხაზინის მიერ სახელმწიფო რენტით 10 მილიონ მანეთის გადადებას თხოულობს, და აგრეთვე სახელმწიფოს ხაზინიდანაც სხვა 10 მილიონ მანეთის მოკლე-ვადიან სესხად მიცემას. ამ საქმეში ერობანი და ქალაქები მონაწილეობას ღებულობენ აღებულ სესხის ხუთ-პროცენტის დაჭერით. ამავე დროს განზრახული გვაქვს, რომ ერობათა და ქალაქთა წარმომადგენელნი კონტროლსა და რევიზიას უკეთებდნენ როგორც ასეთ ოპერაციებს, ისე ბანკის გამგეობას. დარჩენილ გადასახადთა იძულებით აღების საქმეც ისეა მოწყობილი, რომ როგორც სახელმწიფოსათვის, ისე თვითმმართველობის ორგანოებისათვისაც უხერხული არ იქნება.

ამავე დროს, ადგილობრივ თვითმმართველობათათვის თანხის გადადების საკითხთან ერთად, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მკვიდრთა საგრძნობელ დახმარებას აღმოჩენა მოუსავლიან წლებში.

მთავრობა ძველს პრინციპს უარსა ჰყოფს, იმ პრინციპს, რომელიც მას ავალებდა, რომ სთესლე და სასურსათო დახმარება რუსეთის ყველა მცხოვრებთ აუცილებლად უსასყიდლოდ მისცეს ხოლმე, თუნდაც საშუალო თანხა არ მოეპოვებოდეს.

სამაგიეროდ მთავრობა თვითდახმარების პრინციპს წაიმძღვარებს, რომელიც ყოველ მონაწილეს 6 ფუთ ხორბლეულის, ან მის საფასურის ფულად გადახდას დაავალებს.

მოუსავლობის დროს, თუ საჭიროება მოითხოვს, რა თქმა უნდა, გარეშე დახმარებაც მისაღებია: 1, ვისაც გადახდა შეუძლიან, სესხი მიეცეს; 2) ვისაც შრომით დახმარება სჭირია, ასეთი დახმარება გაეწიოს, მხოლოდ თავის მარჯვენით გადაიხდის სამაგიეროს, 3 ვინც მთლად უმწეოა საქველმოქმედო დახმარება აღმოუჩინოს. საქმე იმაშია, ვინ უნდა მისცეს ასეთი დახმარება? მთავრობისათვის მეტად ცხადია, რომ ამ საქმის ცენტრალიზაცია ყოვლად შეუძლებელია, აქ საჭიროა ადგილობრივ მოღვაწეთა აქტიური მოქმედება, აქტიური დახმარება. მაგრამ ხაზინის ფულის განაწილების უფლებას ერობათა განსაკუთრებულ ხვედრად ვერ გავხდით, რომ სახელმწიფო ფულის დარიგება მკვიდრთათვის გამრყვნელ სოციალიზმად არ გადაიქცეს, როგორც ამ საქმეში დღევანდლამდე იყო. მეორეც ერობათათვის, ვგონებთ, სამძიმო არ იქნება ამ საქმისათვის თავის შემოსავლიდან 2—3 პროცენტი გადასდოს ხოლმე. უნდა გახსოვდეთ, რომ მხოლოდ უმწეოთა საქველმოქმედო დახმარება მიდის აუნაზღაურებლად, რადგანაც პურის გაყიდვა უწყებულ ფასად და სესხის წარმოების საქმე აუნაზღაურებელ თანხის დაბანდებას არ მოითხოვს.

რაც შეეხება საზოგადო სამუშაოს, ეს საკითხიც მომწიფებულია და თქვენს ყურადღებას, ბატონებო, ამასაც ვაქცევ. მთავრობას აზრად არა აქვს მოუსავლიან წლებში დახმარების საქმე მთლად ერობათ მოახვიოს თავზე, არამედ მთა-

ტოლსტოი და ხელოვნება

ძნელად თუ მოიპოვება ადამიანის მოქმედების ისეთი დარგი, რომელსაც ლევ ტოლსტოის გენიოსური სიტყვა და კალამი არ შეჰხებოდეს. ყველაფერში იგი იჩენდა თავისებურობასა და დამყარებულ შეხედულების წინააღმდეგ ილაშქრებდა. ძნელია, ადამიანი დაეთანხმოს მის პარადოქსულ აზრებს, მაგრამ მისი საოცარი გულ-წრფელობა, ღრმად გამსჭვრეტი უნარი გხიბლავს და საპირისპიროდ მიმართულს კრიტიკის იარაღს გაყრევინებს. აბა როგორ უნდა დაეთანხმო დიდებულ ხელოვანის მიერ თვით ხელოვნების უარყოფას, მაგრამ არ შეგიძლიან არ აღიარო, რომ მისი მსჯელობა ამ საგნის შესახებ ერთი შესანიშნავთაგანია მსოფლიო ხელოვნების ფილოსოფიაში!

ტოლსტოის თხზულება „რა არის ხელოვნება?“ გამოქვეყნებული ამ რამდენისამე წლის წინად რუსულს ჟურნალში Вопросы философіи и психологіи, გადათარგმნილ იქმნა მრავალს ენაზე და ერთი ალიაქოთი გამოიწვია (იხ. სხვათა შორის ფრანგული თარგმანი და შენიშვნები ბ. დე-ვიზევასი). ამ თხზულებაში გატარებულია ის ზნეობრივ-სარწმუნოებრივი თვალთა-ხედვა, რომელიც ქვა-კუთხედად დაედო ტოლსტოის უკანასკნელ წლების ფილოსოფიურ მოღვაწეობას.

ტოლსტოის აზრით, „ხელოვნება არის იმ ადამიანის მოქმედიანობის ფორმა, რომელიც თავის გრძნობათ შეგნებულად სხვას გადასცემს ზოგიერთ გარეგან ნიშანთა საშუალებით“. ხელოვნურ ნაწარმოების მნიშვნელობაც იმითი განიზომება, თუ რა ღირსებისაა ეს გადაცემული გრძნობა. ხელოვნება არ არის გასართობი საგანი, სიამოვნება ან მარტოოდენ მშვენიერება. ხელოვნება არის საშუალება ადამიანთა შეერთებისა და შეკავშირებისა ერთისა და იმავე გრძნობით. მაშასადამე ხელოვნება აუცილებლად საჭიროა კაცობრიობის ცხოვრებისა, პროგრესისა და ბედნიერებისათვის. ხელოვნებამ უნდა გააღვიძოს რელიგიური შემეცნება და ადამიანი ღმერთს დაუახლოვოს. ის ხელოვნება, რომელიც ეწინააღმდეგება ამ რელიგიურ შემეცნებას, უნდა დევნილ იქმნას ასე ესმოდათ — განმარტავს ტოლსტოი — ხელოვნების მნიშვნელობა ძველ ბრძენთ, სოკრატს, პლატონს, არისტოტელს, ებრაელ წინასწარმეტყველებსა და პირველ ქრისტიანებს; ასე ესმით დღეს კიდევ მაჰმადიანებსა და რუსის გლეხებს.

საზოგადოების მდიდარმა და მაღალმა კლასებმა კაი ხანია დაჰკარგეს ეს რელიგიური გრძნობა და ხელოვნებაც თავის გასართობად, მდაბალ ინსტიქტების დამაკმაყოფილებლად გაიხადეს. მდიდარ კლასების გრძნობას ახასიათებს სამი თვისება: 1) ამაო პატივმოყვარეობა, რომელსაც თანა სდევს მედიდურობა და სხვისადმი სიძულვილი; 2) სქესობრივი სურვილი, მეტად ტლანქ და პირუტყულ მგრძნობელობად გადაქცეული; ბოლოს 3) აპატია და ზიზღი ცხოვრებისადმი. ამ მდიდარ კლასთა ხელოვნების ერთად-ერთ მასალასაც ეს სამი გრძნობა-და შეადგენს. პირველ თვისების რიგში ტოლსტოი აყენებს „აღორძინების“ ხანის ხელოვანთ მათის ხოტბა-შესხმით. მეორე რიგში მოხვდნენ ეროსის გარშემო მოტრიალე ბელეტრისტები, ბოკაჩიოდან დაწყებული მარსელ პრევომდის. ხოლო მესამე რიგის ხასიათისანი არიან ბაირონი, ლეოპარდი, ჰეინე და ჩვენის დროის მწერლები.

ხელოვანნი იძულებულ არიან ამ მდიდარ კლასთა დამახინჯებულ გემოვნების დასაკმაყოფილებლად, რომელნიც მათ აძლევენ სარჩო-საბადებელს, — გამოიგონონ სხვა და სხვა ეფექტები, ჩაიდინონ სიყალბე და მიბაძვა. ამ მიზნის მისაღწევად ისინი ხმარობენ განსაკუთრებით ოთხს მეთოდს. ეგ არის: 1) სესხება, 2) ზიზილ-პიპილოვანი მორთულობა, 3) მისაზიდი ეფექტები და 4) ცნობის მოყვარეობის აღძვრა. ტოლსტოი განმარტავს და მაგალითებით ასაბუთებს თვითეულ ამ მეთოდთაგანს. ყველა ამ საშუალებით შექმნილი ხელოვნური ნაწარმოები ეკუთვნის **ცუდ**, მავნებელ ხელოვნების კატეგორიას. ხოლო **კარგი** ხელოვნება უნდა იყოს რელიგიურ-ქრისტიანული, რომელიც თავის მხრივ ორ ნაწილად განიყოფება: 1) ხელოვნება, რომელიც გამომთქმელია ჩვენის რელიგიურ შეხედულებიდან გამომდინარე გრძნობათა. ეს რელიგიური შეხედულებაა — ჩვენი ნათესაობა ღმერთთან და ყველა ადამიანთან; 2) ხელოვნება, რომელიც გამომთქმელია მთელ ქვეყანაში ყველა ადამიანისათვის მისაღებ გრძნობათა. პირველი ფორმა საკუთრად **რელიგიური ხელოვნებაა**, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, მეორე-კი **მსოფლიო ხელოვნებაა**. პირველ ჯგუფის, მაგალითად, ტოლსტოი ასახელებს ვიქტორ ჰიუგოს რომანებს: „საცოდავნი“ და „ღარიბი ხალხი“, დიკენსის ყველა მოთხრობასა და რომანებს, ბიჩერსტოუს „ბიძია თომას ქოხს“, ჟორჟ ელიოტის „ადამ ბედს“ და დოსტოევსკის თხზულებათ განსაკუთრებით მის „მკვდართა სახლს“. მხატვრობაში ტოლსტოი მიუთითებს: მილლესა, ბრეტონისა, ლერმიტისა, გისა და მსგავს სხვათა სურათებზე. მეორე ფორმის ხელოვნურ ნაწარმოებთა დასახელება უფრო ეძნელება ავტორს, და გაკვრით აღნიშნავს მხოლოდ სერვანტესის „დონ-კიხოტს“, მოლიერის კომედიებს, დიკენსის „პიკვიკ-კლუბს“, გოგოლისა, პუშკინისა და მოპასანის ზოგიერთ მოთხრობათა და დიუმა-მამას რომანებს. მაგრამ არც ერთი ეს ახალი ნაწარმოები არ შეედრება ძველ მსოფლიო ხელოვნების შედევრებს, როგორიცაა, მაგალითად დაბადების ამბავი „იოსებისა ძისა იაკობისა“.

ამ თვალთა-ხედვით ტოლსტოი სჯის მთელს თანამედროვე ხელოვნებას, ზოგიერთ უკვე მოხსენებულ მაგალითთა გამოკლებით. ახალი ხელოვნება არამც თუ შინაარსით ღარიბია, არამედ ფორმითაც გაუგებარია. განსაკუთრებით თავსატეხ გაუგებრობას წარმოადგენს თანამედროვე ოპერა.

ესრეთ წოდებული ხელოვნების კრიტიკა უწყობს ხელს განსაკუთრებით ყალბ თხზულებათა გავრცელებას. რის მაქნისია კრიტიკა ხელოვნებაში? თუ ხელოვნური ნაწარმოები კარგია, ის უეჭველად ყველასათვის გასაგებიც უნდა იყოს, და პირდაპირ უშუამავლოდ უნდა ხვდებოდეს ჩვენს გულს, და აქ კრიტიკოსთაგან მისი ახსნა-გამორკვევა სრულიად მეტია; მაგრამ კრიტიკოსები სცდილობენ სწორედ შავი თეთრად მოაჩვენონ და ორმაგი სიყალბე ჩაიდინონ.

მომავალი ხელოვნება ყველასათვის მისაწვდომი უნდა შეიქმნეს და შესძლება მისცეს ყველას, გახდეს ხელოვანი, ვინც გრძნობს თავის გრძნობათა შესაფერად გადმოცემის სურვილს. მხოლოდ ხელოვნებას შეუძლიან ჩვენის აწინდელ შემაძრწუნებელ რეჟიმის ნანგრევებზე დაამყაროს ის სასუფეველი ღვთისა, რომელიც არის უმაღლესი მიზანი ადამიანთა ცხოვრებისა. „დღეს ქრისტიანულ ხელოვნების ჭეშმარიტი დანიშნულებაა ადამიანთა ძმურ კავშირის განხორციელება“. ასე ათავებს ტოლსტოი თავის თხზულებას.

ჩვენ მუხლს ვიყრით დიდებულ ცხედრის წინაშე, — ამ ჟამად მოუხერხებელია მის აზრთა კრიტიკა, მაგრამ არ შეგვიძლიან, სხვა დიდებულ ხელოვანთა ღვაწლი ასე დავამციროთ.

მართალია, მის სასტიკ კრიტიკის ღირსნი არიან მისგანვე მოხსენებული თანამედროვე დეკადენტები, სიმბოლისტები, იმპრესიონისტები, ნატურალისტები, ეროტიული რომანისტები და თეატრის აღმავსებელი ავტორები. მაგრამ ყველა თანამედროვე ხელოვანის ერთს ტაფაში ჩამწყვდევა აუხსნელი უსამართლობაა. როგორ შეიძლება ბუნდოვან და გაუგებარ ვერლენთან და ბოდლერთან ერთად ნათელ სტილიან როსტანისა და ღრმა-აზროვან იბსენის უეჭველ არტისტულ ღირსებათა უარყოფა, როგორც ამას სჩადის ტოლსტოი? მერე ბაირონი ლეოპარდი, ჰეინე... მათი ტიტანისებური სულიც ხომ უმაღლეს იდეალებს უსახავდა კაცობრიობას. ვიწრო რელიგიური თვალთა-ხედვა ხელოვნებაში ყოვლად შეუწყნარებელია.

განსაკუთრებით რიხარდ ვაგნერს მოხვდა ტოლსტოის უმართებულო კრიტიკა. ტოლსტოის აზრით, ვაგნერიც სხვებივით ხელოვნების ყალბის მქნელია, მან თავის უკანასკნელ ოპერებით ხელოვნება მთლად დაამახინჯაო! ნამდვილად-კი ვაგნერი როდი სცდილობდა „მუსიკის დაქვემდებარებას პოეზიისადმი“; იგი ლამობდა მხოლოდ **მუსიკალურ დრამის** შექმნას, სა-

ცრობაც ხელს წაახმარებს, არა მარტო შეღავათიან პირობებით სესხის მიცემით, არამედ აუნაზღაურებლად ფულით დახმარებითაც.

მთავრობას იმედი აქვს თქვენთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული და ადგილობრივ თვით-მმართველობათა წარმომადგენლებთან ერთად ივლის.

პეტერბურგი. განსვენებულ ტოლსტოის სულის მოსახსენებლად სომეხთა ეკლესიაში პანაშვიდი გადაიხადეს. აქედან სტუდენტები ნევის პრ-სპექტზე დემონსტრაციის მოსახდენად გაემართნენ, მაგრამ პოლიციამ გაფანტა.

სახელმწიფო სათათბიროში კანონპროექტი შეიტანეს, რომელიც ფინლანდიაში მცხოვრებ რუსებს ფინლანდიელებთან ათანასწორებს; ფინლანდიის ხაზინას მოეთხოვოს, რომ რუსეთის ხაზინას ის ფული გადაუხადოს, რასაც ფინლანდიელები ჯარის კაცად გაწვევის სამაგიეროდ იხდიან.

პეტერბურგი. საოლქო სასამართლომ პოლიციელი ეფიმოვი გაამართლა. იგი პირველ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ სედელნიკოვის გალახვისათვის იყო სამართალში მიცემული.

ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, რომ ტოლსტოის ქვრივს სამძიმრის დეპეშა გაუგზავნოს და ტოლსტოის სამარადისო ხსოვნისათვის მოხსენება შეადგინოს.

მოსკოვში ქალაქის გამგეობამ ტოლსტოის პატივსაცემად კრება გადასდო.

ტომსკიდან ტოლსტოის ქვრივს სამძიმრის დეპეშა გაუგზავნეს. ქალაქის საუკეთესო ქუჩას ტოლსტოის სახელს დაარქმევენ.

ხარკოვი. ქალაქის საბჭომ ტოლსტოის პატივსაცემლად სხდომა გადასდო. სხვა და სხვა საზოგადოებათ სამძიმრის დეპეშები გაუგზავნეს ტოლსტოის ქვრივს. სტუდენტებს დემონსტრაციის მოხდენა უნდოდათ, მაგრამ პოლიციამ გაფანტა.

ასტაპოვო. რიაზან-ურალის გზის მმართველობამ გზათა გამგეს ნება დართო, რომ ის სახლი, სადაც ტოლსტოი გარდაიცვალა, დასცალონ. ამ სახლში მუზეუმის დაარსებას აპირებენ.

ზისეკა. განსვენებულ ტოლსტოის ცხედარს 3 საათამდე ემშვიდობებოდნენ მის კაბინეტში. შემდეგ მისმა შვილებმა, სტუდენტებმა და გლეხებმა ასწიეს კუბო. აუარებელი ხალხი გამოსვენების დროს მუხლებზე დაეცა და განსასვენებელსა გალობდა. წინ მიუძღოდნენ დეპუტაციები, გვირგვინები მიჰქონდათ, კუბოს მისდევდა განსვენებულის ქვრივი, ნათესავნი და მახლობელნი. სამაგალითო წესიერება სუფევდა. სამარეს 9 მუხა დაჰყურებს. საფლავი გლეხის ქალებმა გასთხარეს. განსვენებული ნაშუადღევის სამ საათზე მიასვენეს სამარესთან. სანამ მიცვალებულს სამარეში ჩაასვენებდნენ, მთელი ხალხი დაჩოქილი იყო და „სულთათანასა“ გალობდა. ნახევარ საათის შემდეგ სამარე აიბურთა და მთლად გვირგვინებით იყო დაფარული. სიტყვა არავის წარმოუთქვამს. ხუთის ნახევარზე ყველაფერი დასრულდა.

ახალი ამბები

ტფილისი

◆ **თავად-აზნაურთა კრება.** 21 ნოემბერს სიღნაღში მოჰხდება სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანაშემწის ასარჩევად.

◆ **ახალი სააქციონერო საზოგადოება.** კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგინა ახალ სააქციონერო საზოგადოების პროექტი. ამ საზოგადოების დამაარსებელნი არიან გენერალ-მაიორი გაბაშვილი და ბაგდანოვი. საზოგადოების მიზანია ხიდი გაიყვანოს მტკვარზე დიდუბისა და საბურთალოს შესაერთებლად. საზოგადოებას თანხა ექმნება 250,000 მანეთი და გაყოფილი იქმნება 2.600 აქციად.

◆ **ქართული წარმოდგენა.** მოვაგონებთ მკითხველთ, რომ დღეს, 11 ნოემბერს ქართულს თეატრში წარმოდგენილ იქმნება ი. გორდინის 5 მოქმედებიანი დრამა „სატანა“. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებს ლადო მესხიშვილიც.

◆ **მსახიობის დ. ჩარკვიანის ავადმყოფობა.** როგორც გვწერენ, ქუთაისში მძიმედ ავად გამხდარა ქართულის სცენის ახალგაზრდა მსახიობი დათიკო ჩარკვიანი.

◆ **შუამდგომლობა.** სომეხთა განმანათლებელმა საზოგადოებამ „ლუის“-მა შუამდგომლობა აღძრა ტფ. ქალაქის გამგეობის წინაშე, ავლაბარში სკოლის მოსაწყობად უსასყიდლოდ საქალაქო მიწა დაგვითმეთ და ამას გარდა წელიწადში სკოლას 500 მანეთის შემწეობა დაუნიშნეთო.

◆ **ფრენა.** ავიატორმა ქებურიამ უკვე შეჰკეთა თავისი საფრენი მანქანა და კვირას, 14 ნოემბერს დიდუბის საჯირითო მოედანზე გაფრინდება.

◆ **მუშტაიდის გამშვენიერება.** ტფ. ბოტანიკურ ბაღის დირექტორმა ბ-ნმა როლოვმა შუამდგომლობა აღძრა, სადაც ჯერ არს, რომ მომავალ წლისთვის გადადებულ იქმნეს ფული მუშტაიდის ბაღის გასასუფთავებლად და გასამშვენიერებლად. ამ ფულით უნდა გაუმჯობესებულ იქმნას ბაღის განათება, გაყვანილ იქმნას ქვაფენილები, წყალსადენები და დაირგას ბაღში სხვა-და-სხვა ყვავილი.

◆ **სანიტარულ მზრუნველთა კრება.** გუშინ შეერთებული კრება ჰქონდათ მეხუთე და მეექვსე უბნის სანიტარულ სამზრუნველოს წევრებს და დაადგინეს წინადადება მიეცეს სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა მეპატრონეებს, რომ კარგად დაიცვან სანიტარული წესები. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მომავალ წლის პირველს იანვრიდან ვაჭრობის ნებას აღარ მისცემენ.

◆ **მფრინავთა კვირა ბაქოში.** ამ თვის ბოლო რიცხვებში ბაქოში გაიმართება მფრინავთა კვირა. ამ დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ, სხვათა შორის, ვასილიევი, ქებურია, გაბერ ვლინსკი და სხვა.

◆ **ჯარიმები.** ტფ. გუბერნატორმა დააჯარიმა: 1) არტემ ავაქოვი 100 მანეთით საადრესო სტოლის წესების დარღვევისათვის. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ერთის თვით დააპატიმრებენ და 2) ალექსანდრე ავალიანი და ვლადიმერ სადილიანიც და ხუთ-ხუთის მანეთით პოლიციელის შეურაცყოფისათვის. თუ ჯარიმას არ გადაიხდიან, ორ-ორის კვირით დააპატიმრებენ.

◆ **კრება.** კვირას, 14 ნოემბერს, დილის 11 საათზე, თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში, მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა წლიური კრება. ექვ. სვ. თაყაიშვილი წაიკითხავს რეფერატს: „სამეფო კარის გარიგება საქართველოში“. განხილულ იქმნება: საზოგადოების 1909 წლის მოქმედების ანგარიში, ამავე წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში და 1910 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა; ამასთანავე მოხდება საზოგადოების საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრებისა და საზოგადოების ახალ წევრების არჩევნები. გარეშეთაც შეუძლიანთ კრებას დაესწრონ.

◆ **9 ნოემბერს პოლიციამ ტფილისში 22 უპასპორტო შეიპყრო.**

◆ **9 ნოემბერს ტფილისში უეცრად გარდაიცვალა რაჭის მაზრის სოფელ ქვედის მცხოვრები ერმილე ზაქარიას-ძე მაისურაძე.**

—

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომერში სამწუხაროდ კორექტურული შეცდომები შეგვეპარა: ვასწორებთ უმთავრესს: აკაკის წერილში ტოლსტოის შესახებ, ყველგან, სადაც „სლორი“ სწერია, უნდა იყოს **ხალხი**. „საფილოქსერო“ უნდა შეიცვალოს **საფილოსოფოსო** გზად.

არჩილ ჯორჯაძის წერილში: (მე-XIV სტრიქონი) **სწერია** „შორად ჩემს გრძნობას ვუზიარებ“, უნდა იყოს **პირად ჩემს გრძნობას ვუზიარებ**. მესამე სვეტში სწერია: „გახდა მისი სიცოცხლე გული და ლტოლვილი“, უნდა იყოს: **გახდა მისი სიცოცხლე ეული და ლტოლვილი**. ბოლოში სწერია: „უნალვლოდ იტანჯებოდა“ უნდა იყოს: **უწყალოდ იტანჯებოდა**.

იმერეთის მევენახეთა საყურადღებოდ

ამერიკულ მწარე ლერწზე (საძირე) დამყნილ ვენახების გაშენებამ იმერეთში შრომა და მოლოდინი არ გაუცრუა და დიდის, სწრაფის ნაბიჯით მიდის წინ. წლევანდელი აუარებელი ყურძნის მოსავალი უტყუარი თავმდებია იმისი, რომ ეს საქმე უკვე გამარჯვებულია და ღვინის მოსავლის მხრით იმერეთი უზრუნველ-ყოფილია. ამ მეტად სასიამოვნო მოვლენასთან სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ჩვენებურ ღვინოებს გარედ ბაზარი ვერ მოუპოვებია და აქვე, შინ ტრიალებს. და თუ ამდენხანს ვენახების სიცოტავის გამო ავად იყო თუ კარგად, ისევ შინაური—ჩვენებური დაბა ქალაქების ბაზარი ჰყოფნიდა გასასაღებლად, დღეს უკვე და აწი კიდევ უფრო დიდი უმრავლესი ნაწილი ღვინოეულისა გაუსაღებელი დარჩება, რაც ეკონომიურად გაძლიერების მაგიერ სილატაკისაკენ წააქანებს ნამყენ ვენახების გაშენებით წაქეზებულ ჩვენის ქვეყნის მევენახე მშრომელ ხალხს. წლევანდელ შემოდგომის განმავლობაში ქუთაისის ქუჩები საკვირველ, არა ჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენს. ყველა დიდი ქუჩა გაჭედილია მრავალ-გვარ ჯიშის ყურძნებით დატვირთულ ურმებით. ჰხედავ ბაზარზე გამოტანილს ასეთ აუარებელ სიმდიდრეს, საუკეთესო დარგს ჩვენის სოფლის მეურნეობისას და ერთი მხრით რომ მხიარულებას ეძლევი, მეორე მხრით გული ბოღმით გევსება, რომ ეს ამდენი ნასიმწარებ-ნაამაგარი ჩარჩ-ვაჭრების დავლად გადაქცეულა, ნახევარ ფასში იყიდება და ბევრიც თვალთ-მაქცურ სასწორების მეოხებით სულ უფასოდ იკარგება. ამასთან გაუსაღებლობის გამო მრავალი ყურძენი უკანვე სახლში მიაქვს სოფლის მუშა ხალხს. დღეს რომ ეს ხდება, წარმოიდგინეთ, რას უნდა ველოდეთ ახლო მომავალში, როდესაც მთელი იმერეთი და მასთან გურია-სამეგრელო (სადაც აგრეთვე ენერგიულად შეუდგნენ დამყნილ ვაზის გაშენებას) ვენახებით გაშენდება. აი, აქ გვმართებს დაფიქრება. აქ ჰმართებს ჩვენს მოწინავე ინტელიგენციას ამ საკითხის მოგვარება და პრაქტიკულად მოქმედება. ეჭვს გარეშეა, რომ ერთად-ერთი ხსნა ამ საკითხის გადასაწყვეტად ჩვენებური ღვინოების რუსეთის ბაზარზე გატანაა და გასაღება.

რამდენიმე პირის თაოსნობით ქუთაისში უკვე შესდგა წრე, რომლის მახლობელი მიზანია, დაიქირაოს იჯარით პრინცის ოლდენბურგის შამპანიურ ღვინის სარდაფი და აქ დამზადებული ღვინოები ჰგზავნოს კავკასიის სხვა და სხვა კუთხეებსა და რუსეთში. ამხანაგობა, რასაკვირველია, რუსეთის სხვა და სხვა თვალსაჩინო ქალაქებში განყოფილებას გახსნის.

მიზანი მეტად სიმპატიურია და დიდი თანაგრძნობის ღირსია ჩვენის საზოგადოებისაგან. მხოლოდ სავალალო ის არის, რომ ჩვენში ჩვენებურ ინტრიგებისა და პირადის, ეგოისტურ მიზეზების გამო ამგვარი ამხანაგობანი ვერ იკიდებენ ფეხს. ამ გარემოებას განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიექცეს, რომ კიდევ შეცდომები არ განმეორდეს. მევენახეთა ამხანაგობის მოწყობის საქმე სერიოზული, რთული საქმეა და ამგვარ საქმეს, რომლის დანიშნულებაც უფრო ხალხის საკეთილდღეოდ აქვს დასახული აღნიშნულ წრეს, სათავეში კარგად გამოცდილი და უმწიკვლო პატიოსნებით შემკული ადამიანები უნდა უდგნენ, რომ საქმე მკვიდრ ნიადაგზე იქმნეს დაყენებული. დროა თვალი გამოვახილოთ და ძველის საზიზღარ, საპირადო კინკლაობის მოსპობით და ძველის შეცდომების შესწორებით ერთგულად და პირნათლად ვემსახუროთ სახალხო საქმეს, რომელიც წინამორბედია ქვეყნის დაწინაურებისა.

გ. ახვლედიანი.

სოფლის მეთვალყურის შენიშვნები.

სოფელი საჭიროებს იურიდიულ დახმარებას.

რაც უფრო ღრმად იხედება ადამიანი ჩვენის სოფლის ცხოვრებაში, დაახლოვებით ეცნობება მის მცხოვრებთა შემადგენელ ელემენტების ურთი-ერთ დამოკიდებულებას, აქედან წარმომდგარ შედეგებსა და ამ უკანასკნელთა ხასიათს, იმდენად გულისღვრევს და შეუფერებელს, მეტი რომ არ ვთქვათ, ფაქტებს ხედავს. თავისის უსირცხვო ხასიათით ამ ფაქტებს ადამიანი განცვიფრებაში მოჰყავს; აშკარად აჩვენებს, რომ ის კაცი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე სხვის კისერზედ მჯდარა და სხვისის ოფლით უცხოვრია, შემდეგშიაც, საშვალებას არ დაერიდება, ოღონდ-კი მან კიდევ ცოტა ხნით მაინც შეინარჩუნოს თავისი პირვანდელი უმოქმედო მდგომარეობა.

ჩვენის სოფლის შემადგენელ ელემენტად უმეტეს შემთხვევაში დღესაც უნდა ჩაითვალოს: ერთის მხრივ გლეხობა — უმრავლესობა, — სოფლის საფუძველი და მისი გარჩენა, მეორეს მხრივ — თავად-აზ. — მემამულენი და მდგომარეობის ბატონ-პატრონნი, თუმცა ეს უკანასკნელნი უკვე კარგა ხანია ნელ-ნელა ადგილს უთმობენ მესამე ელემენტს, ეგრედ წოდებულს, ბურჟუაზიას, რომელიც ჩვენს სოფელს ეპარება ჩარჩ-ვაჭარ-მევახშეთა სახით და რომელმაც ზოგიერთ სოფელში კიდევაც იგდო ხელთ ბატონპატრონობა და სოფლის ცხოვრებას შესაფერი ბეჭედიც დაასვა. თავად აზ., როგორც ყველგან ისე ჩვენშიაც დროისა და ახალის ცხოვრების პირობების მითხოვნით, იძულებულია დასტოვოს თავისი პოზიცია; ამას კარგად გრძნობს იგი და რომ როგორმე ცოტახნით მაინც ერთი კიდევ ლონივრად იყაროს ჯავრი ცხოვრებაზედ თავისი წარსულის ღირსების შესაფერად,—არავითარ საშვალებას არ ერიდება, იქნება იგი კანონიერი თუ უკანონო, შესაფერი თუ შეუფერებელი. ამ შეუფერებელი და არა ადამიანურ საქციელად ჩვენის თავ.-აზნაურობისა უნდა ჩაითვალოთ სხვათა შორის მის ხელში შერჩენილი ათასნაირ ჩაგირავებულ ადგილ-მამულის გლეხებზედ კერძოდ გაყიდვა და მათი ისე სასტიკად მოტყუება.

მოგეხსენებათ, ჩვენი გლეხი ნაკლებად იცნობს, ან უკეთ ვთქვა, სრულად არავითარი წარმოდგენა არ აქვს არსებულ მომქმედ კანონმდებლობაზედ და ყოველ იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა რაიმე იურიდიულ აქტის შესრულება, ხელმძღვანელობს არა მომქმედ კანონებით, არამედ ძველებურის-მამა-პაპურისით, რომელიც ამჟამად მისთვის ჩვეულების წესებად გადაქცეულა. სახელდობრ: უბრალო სიტყვიერი პირობა, მოწმების დასწრება, ბარათის ჩამორთმევა. შინაურულად და უკეთეს შემთხვევაში ამ ბარათის სოფლის მსაჯულების მიერ შემოწმება. ასე იქცევიან სყიდვა-გაყიდვის დროსაც. ამ გვარის მდგომარეობით რასაკვირველია მშვენივრად სარგებლობს ყველა სოფლის წურბელა, მაგრამ თავ.-აზნაურობას განსაკუთრებული ალაგი უჭირავს; რომ წვრილმანებს თავი დავანებოთ, საკმარისია თვალი გადავავლოთ საადგილ-მამულო ბანკებზედ დარჩენილ მამულების მდგომარეობას, რომ დავრწმუნდეთ მათ მეტად შეუფერებელ საქციელში. დაბეჯითებით შეგვიძლიან ვსთქვათ რომ 99% ბანკებზედ *) დარჩენილ მამულებისა დაგირავებამდის ან იმის შემდეგ ნაწილ-ნაწილად გაყიდულია ადგილობრივ—მეზობელ გლეხებზედ, რასაკვრელია შინაურულად, რადგან კანონიერად მხოლოდ ბანკებს ეკუთვნით. მემამულე ათასგვარ დაგირავ-გადაგირავებისა და შემდეგ საჭრობით გაყიდვისა, რასაკვირველია, უდარდელად უტოვებს ბანკებს მამულებს. ძნელი წარმოსადგენია ამის შემდეგ გლეხის მდგომარეობა, რომელიც იძულებული ხდება მშიერის მუცლით ორიოდ დღის შეძენილი „ტალახი“ ან ხელმეორედ შეისყიდოს თუ უნდა, რომ თავისი შრომა არ დაკარგოს, ან და ბანკს დაუთმოს, რაკი კანონიერად უკანასკნელს ეკუთნის. ასეთი ბედნიერები, რომელთაც შეეძლოთ ხელმეორედ შესყიდვა, მოგეხსენებათ, ჩვენს გლეხებს შორის ნაკლებ არიან, გზა კი თავის საშველი არსაიდან არის; სასამართლოში გლეხი თავს ვერ იმართლებს, რადგანაც **კანონის უცოდინარობა არავის ამართლებს** **) და კიდეც რომ გაამართლებდეს სასამართლო, იმდენი დაუჯდება ადგილობრივ „აბლაკატების“ წყალობით (ჩვენი განათლებული „ადვოკატები“ პროვინციას არა სწყალობენ, თუნდ ტფილისში შიმშილითაც ისოცებოდნენ), რომ უმჯობესია, მეორედ შეისყიდოს მამული და ზედ მეტად სასამართლოში სისხლი არ გაიფუჭოს და ასეც სჩადის. ყველა ეს გარემოება გლეხს გულში ცეცხლს უნთებს და ვარმითა და ზიზღით ავსებს მის უტიფარ მატყუარასადმი; ამის შემდეგ ცხადია, რად ეკიდება გლეხი უნდობლად, როცა დღეს მემამულე შეავაჭრებს მამულს და გლეხი-კი უარს ეუბნება. მემამულების ლათაიები ვითომ გლეხები უარს ამბობენ ყიდვაზე იმ მოსაზრებით, რომ მათ მუქთად დარჩებათ მამული,—მცოდნე პირს მხოლოდ მწარე ღიმილს მოჰგვრის. პირიქით ჩვენი გლეხი მიწის შესაძენად უკანასკნელ ქალამანსაც არ დაიშურებს და ეს კარგად ეცოდინება ყველას, ვინც სოფელთან ახლო სდგას, მაგრამ მიზეზები სულ სხვაა.

ასეთი საქმის ვითარება საგულისხმიერო და საყურადღებოა განსაკუთრებით დღეს, როდესაც ხდება ასეთი სწრაფი სყიდვა-გასყიდვა მამულებისა, რადგანაც ამ ნიადაგზედ ეხლა უფრო მოსალოდნელია ბევრგვარი ზემოდ ნათქვამის მსგავსი საქციელი მემამულეების მხრივ. საჭიროა ელემენტარული დახმარება. თუმცა ამ მხრივ ბევრს აკეთებს საადგილმამულო კომისია, მაგრამ ამ უკანასკნელს მიმართავენ ხოლმე უფრო ხშირად მაშინ, როცა დიდი მამული იყიდება, თვით კომისიას კი იმდენი ძალა არ შესწევს, რომ ყოველ სოფელში იყოლიოს კაცი და თვალყური ადევნოს თითო-ოროლა დღიურ მიწის ყიდვის საქმეს, ასეთ პატარა ალაგების გაყიდვა კი სოფლად უფრო ხშირია, და ყიდულობს უფრო შეუძლებელი გლეხი, რომელიც ყველაზედ უფრო საჭიროებს შველას. ამ შემთხვევაში საჭიროა, რომ ადგილობრივმა შეგნებულმა მცხოვრებმა, ვისაც კი ცოტად თუ ბევრად გული შესტკივა გლეხისთვის, ჩააგონოს მეზობელს, რომ გამყიდველმა ნასყიდობის ქაღალდი აუცილებლად უფროს ნოტარიუსის საშუალებით დაუმტკიცოს: რადგანაც თუ რამ დაბრკოლებაა მამულის გაყიდვის, აქ აღმოჩნდება. ყოველგვარ სხვა გზით კი ნაყიდს მამულს კანონიერი ხასიათი არ ექნება და შეიძლება ზემოდ აღწერილ მდგომარეობაში ჩავარდეს. ეს არც ისე ძნელი საქმეა შეგნებული ადამიანისათვის და სარგებლობა კი დიდი იქნება გლეხისთვის.

მროველი.

---

*) მაგ. სიღნაღის მაზრაში; კარგი იქნება ამ შემთხვევაში ბანკის გამგეობამ დამფასებლებს დაავალოს ყურადღებით მოექცნენ დაფასების დროს და შემდეგშიაც გამოუცხადონ გლეხებს, რომ მამული დაგირავებულია.

**) ეს დებულება ერთ საფუძველთაგანია როგორც ევროპის კანონმდებლობისა, ისე რუსეთისა, მხოლოდ იმ განსხვავებით რომ ევროპაში მის ცხოველსაყოფელად ყოველ საშუალებას ხმარობენ პირველდაწყებით სწავლის აუცილებლად შემოღების სახით და ახალ კანონების მესაფერ გამოქვეყნებით; ჩვენში კი ამ მხრივ არაფერია გაკეთებული: არამცთუ ნასწავლი ძნელად მოიპოვება სოფელში, არამედ თავის გვარის მოწერაც კი თითო ოროლას შეუძლიან; კანონს ხომ მარტო ოფიციალურ დაწესებულებებში აცხადებენ.

ქართულ მომღერალთა გუნდის გამო ქუთაისში.

ბევრის გზით და ბევრს რამეში ჩამორჩენილს ჩვენს კურთხეულ ქუთაისში ერთი დიდი საქმე კეთდება—თითქმის გაკეთებულია კიდეც.

ეს ქართულ ხმების მომღერალთა გუნდი გახლავთ. დღეს დღეობით სამოცზე მეტი ქალ-ვაჟი მეცადინეობს ამ გუნდში ბ-ნ შარაბიძეების ლოტბარობით.

შეიძლება გუნდში მყოფთაგან ზოგმა არ იცოდეს, თუ რა დიდებულს, საშვილიშვილო საქმეს აკეთებს?—მშობლიურს ხმებში, სიმღერებში ერთ რიგად ნათლად სჩანს სრულიად ერის სულის კვეთება, მისი ყოფა მდგომარეობა. მწერლობასთან ერთად ხალხური მუსიკა, სხვა-და-სხვა დროის ჰანგები ნათლად აჩვენებენ, თუ იგი ერი ამა და ამ დროსა და ხანაში რას განიცდიდა. თავისი დრო აქვს და ჰქონდა „ვარხალალეს“ და თავისი დრო და ხანა კვნესის ჰანგებს. მწერლობასთან ერთად მუსიკა თუ გნებავთ, სწორე ბარომეტრია ერის ყოფა-ცხოვრებისა.

ძველის ძველი ხალხური სიმღერები—ხმები ახლა თითქმის დაკარგულია ჩვენთვის, თორემ, უეჭველია, მეთორმეტე და სხვა ბრწყინვალე ხანებში იმ ჰანგებზე არა ვმღეროდით, როგორზედაც თუნდა დღეს ვმღერით, ან და წინანდელ სიბნელის დროებში ვმღეროდით... ხალხში იშვიათად თუ კიდე შეჰხვდებით ამ ძველს მხიარულსა, გინდა მწუხარე ჰანგებს; და ესენიც კვალ წმინდად დაიკარგებიან, თუ ხელთ არ ვიგდეთ, არ შევისწავლეთ.

აი, ასეთ დიდ საქმეს ხელის მოკიდება განიძრახა ქუთაისის მომღე-

და ყველა სხვა ხელოვნება პირიქით მუსიკით განიმსჭვალება, რომ გამოსთქვას უღრმესი და საყოველთაო ადამიანური გრძნობანი გარდა ამისა თვით ვაგნერმა განა იგივე აზრები არ გამოსთქვა თანამედროვე ხელოვნების ძირითად განახლებისა და განსაზოგადოების შესახებ? სწორედ ვაგნერი სცდილობდა თანამედროვე საზოგადოებისა, და ინდუსტრიაზე დამყარებულ ხელოვნების ნანგრევებზედ დაეფუძნებინა თავისუფალი საკაცობრიო ხელოვნება მომავალისა.

ტოლსტოი ამავე წერილში უარჰყოფს თავის საკუთარ ხელოვნურ ნაწარმოებთაც, გარდა ორის მოთხრობისა: „ღმერთი სიმართლეს ჰხედავს“ და „კავკასიაში“, რომელიც მხოლოდ ღირსია მისის აზრით, შენახვისა. წარმოიდგინეთ, რომ ვაგნერიც არ იყო ყოველთვის დიდის აზრისა თავის ნაწარმოებთა შესახებ. და ეს გასაოცარი თავმდაბლობა და გულ-წრფელობაც აახლოვებს ამ ორს რევოლუციონერს ხელოვნებისას. ყალბ-ქმნილი ხელოვნური ნაწარმოები მოკლე დღისაა, გაჰქრება სამუდამოდ; მხოლოდ გულ-წრფელი გენიოსური ქმნილება გაუქრობელია და გადავა საშვილიშვილო ხელ-და-ხელ საგუმანებლად. თანამედროვე საზოგადოებისა, ხელოვნებისა და მეცნიერების დანგრევის ანარქისტული ტენდენციები, რომელიც გამოსჭვივის ტოლსტოის თხზულებიდან, განა უფრო არ ახასიათებს რიხარდ ვაგნერს? ვაგნერი, თუ გნებავთ, უფრო რადიკალური ანარქისტია, ვიდრე ტოლსტოი; მხოლოდ ვაგნერის ანარქიზმი უფრო კონკრეტულია, უფრო ცხოველი და უფრო არტისტიული. თვით ანარქიზმის მამამთავარი ბაკუნინი, ეს მოციქული დანგრევისა და განადგურებისა, გატაცებული იყო ვაგნერის მუსიკითა და მისის შესრულებით. 1849 წ. დრეზდენში, როდესაც ვაგნერის ლოტბარობით შესრულებულ იქმნა ბეტჰოვენის მე-IX სიმფონია, ბაკუნინმა ვაგნერთან კერძო საუბრის დროს წამოიძახა: „ყოველივე, ყველაფერი დაინგრევა, არაფერი დარჩება აღმოუფხვრელი,—მხოლოდ ერთი რამ არ გაჰქრება არასოდეს, და მუდამ ცოცხალი იქნება: ეს არის მე-IX სიმფონიაო“! ეს სწორედ ის მომხიბლავი სიმფონიაა, რომლის ხელოვნურს სიკარგესაც უარ-ჰყოფს „კრეიცერის სონატის“ ავტორი!

დიაღ, მუდამ ცოცხალი და უკვდავი იქნება მე-IX სიმფონია და ყველა მსგავსი გენიოსური ხელოვნური ნაწარმოები, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია ყველა რელიგიისა, მორალისა და მეცნიერებისაგან.

ცოცხალი და უკვდავია ლევ ტოლსტოის დიდი ხელოვნური ნაწარმოებიც და მის მნიშვნელობას ვერ მოსპობს თვით ავტორის უარყოფა საკუთარ ხელოვნებისა...

მ. გ—ის.

რალთა გუნდმა, რასაც გვაუწყებს მისი ნებადართული, დამტკიცებული წესდება.

ამ დიდ საქმეს სახსარიც დიდი სჭირია, გუნდი კი ამ მხრივ ჯერჯერობით ვერ არის სანატრელს მდგომარეობაში. ერთგულად და ბეჯითად ემზადება, ოცამდე ხმა შესწავლილი ჰყავს, მაგრამ უსახსრობისა გამო, ჯერ ბინაც კი არა აქვს, ერთი ოთახიც; მიმომავალ ურიისა არ იყოს, ამ ცოტა ხანში ეს მეოთხე ბინა გამოიცვალა.

გავანებოთ დიდს სახსარს თავი, თუმცა ამის ღირსია,—პატარა შემწეობას მოითხოვს იგი საზოგადოებისაგან, და ასეთი პატარა წვლილი, სულ სამი მანეთი წლიურად, როგორ უნდა დაიშურონ ისეთ პირებმა მაინც, რომელთაც კარგად უნდა ესმოდეთ ამ საქმის სიდიადე, მისი ფასი.

მალე გუნდი კონცერტის გამართვას აპირებს ამერ-იმერეთში და ამ ჟამად გუნდის გამგეობის წევრნი იმისთვის დაძრწიან, რომ შესაფერს ტანისამოსში გამოეწყონ და ისე წარდგენ საზოგადოების წინაშე. ამასაც თავის მნიშვნელობა აქვს და ექნება, ხოლო საჭიროა საშუალება და საუნჯე კი გუნდისა თითქმის ცარიელია.

ბატონებო, თქვენი პატარა წვლილი დიდის, საშვილიშვილო საქმისათვის! **დ. მესხი.**

პატარა ფელეტონი

ბედნიერება

არის განა ბედნიერება?!

ბედნიერია მდიდარი კაცი, რომელიც თვითონ არას აკეთებს, სხვის ნაოფლარით სძღება, ფუფუნებს?! ის საბრალოა ამ წუთი-სოფლად! მას თუ კაცური სული უდგია, მყუდრო საყუდელს ვერ მოიპოვებს, მუდამ განიცდის სინდისის ქენჯნას, რომ სხვისის ნაშრომით გალაღებულა. და თუ სინიდისი აღარ აწუხებს? მხეცისთვის ტყეა, უღრანი ტყე და კლდე-ღრეები საბინადროდ მიჩემებული!

არის განა ბედნიერება?!

ბედნიერია ღარიბი კაცი, რომელიც მუდამ შრომობს, იტანჯება და მძიმე ტვირთ-ქვეშ სული ჰხდება. სული რმანკო? მისი ნაშრომი სხვამ წაიღო, ის კი კვლავ დარჩა უღ უკმაპუროდ; ცოლ-შვილი პურსა სთხოვს, მას ეს არა აქვს!..

— მამა მშიან, პური მშიან!.. შეჰყვირებს შვილი და ხელის გაიწვდენს თავის საყვარელ მამისაკენ!

— მამა სიცივემ ხელი, ფეხები დამიხუთა, ვეღარ ვინძრევი! მცივა, მამილო, მცივა... მცივა!..

— შესძახებს აგერ მეორე შვილი და ცახცახებს, კბილს-კბილზედ იმტვრევს!..

დედა მათი კი, დედა საბრალო, ძველ კონკებში გამოხვეული, შვილების ტანჯვით გულ-დათუთქული, ხატის წინა სდგას და პირჯვრის-წერით შესთხოვს შემძლე ღმერთს მოწყალებას, შველასა და ხსნასა. თვალთაგან სცვივა ღაპა ღუპით ცხარე ცრემლები...

ხმა არსაით ისმის, მყუდროებაა, მდუმარებს არე!..

დედა ქვითინებს ხან-გამოშვებით, დედა მწუხარე!

თოვს. საღამოა. ქარი თოვლის ფიფქს ჰაერში აპნევს, ათამაშებს და ირგვლივ ჰფანტავს!

საბრალო მამა, შვილების კვნესით გამწარებული, ბრაზ-მორეული მიდის ტყისაკენ, ვითომ შეშის გამოსატანად, თან მიაქვს ცული. მიადგა მუხას. მუხამ ფოთლები ააშრიალა, თითქოს იგრძნო ვიღაც კაცის მოახლოვება!..

შეისვენა...

— მრავალი ტანჯვა გამოგივლია, ჩემო მუხავ, შენ! ვინ მოსთვლის, თუ თავს რამდენი სეტყვა, მეხი და გრგვინვა დაგტეხია, მაგრამ მაინც სდგეხარ ამაყად... მე კი, მე!... ვერ ვუძლებ ტანჯვას, ვერ ვუძლებ შრომას, ვერ მოვითმინე, ვერ ავიტანე ადამიანის სიძაგლე და ბოროტი სურვილ-ვნებათა მოთხოვნილებანი და ვეთხოვები კარმიდამოს, საყვარელ ცოლშვილით. ოჰ! რა ყრუ არის, ყრუ, ეს სოფელი, ადამიანი, კაცი!... გაუტანლობა, სიფლიდე! ოხ!... შენ გებარის ჩემი თავი, ჩემო მუხავ, მხოლოდ შენ!—სთქვა ეს სიტყვები და ცული მაგრად თავში დაირტყა; იქვე უსულოდ დაეცა, სისხლმა დაიწყო დენა და შეჰღება მიდამო მუხისა.

სდუმდა ქვეყანა... ქარმა ერთი კიდევ საზარლად შემოუბერა, დაიღრიალა და ქოტმა თავის სოროდან კივილი მორთო...

არის განა ბედნიერება?!

ბედნიერია შეყვარებული?

იგერ ორი კაცი და ქალი ერთიმეორის სიყვარულს უცხადებენ. ერთმანეთს ჰკოცნიან, ურთი-ერთს თავს ევლებიან! უყვართ ერთმანეთი!...

დაჰბერა სხვა ქარმა, დროება გამოიცვალა. ქალი სხვა კაცმა გაიტაცა, სხვამ შეიყვარა... ეხლა სხვას ატკბობს, სხვას ეხვევა, უღიმის, შესთამაშებს!...

კაცი კი, საბრალო კაცი, მოტყუებული, ცხარე ცრემლს აფრქვევს. მისმა კეკლუცმა სხვა შეიყვარა. გულ მოსულია, შფოთავს, ღელავს, ვეღარ ისვენებს...

— არა, არ შეიძლება, მე დამცინიან, ეს შეურაცყოფაა!—დადის იგი ოთახში აქეთ-იქით, და განაგრძობს,—ჩემი გრძნობა შელახეს, შეჰბილწეს, ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია!—მოტრიალდება იგი, ბალიშის ქვემოდან რევოლვერს გამოიტანს, ჩახმახს ფეხზე შეაყენებს, შუბლზე მიიდებს და...

არის განა ბედნიერება?!

ლადო მეხეშქორი.

მიწერილი ამბები

დასავლეთ საქართველო. მოსავალი დასავლეთ საქართველოში წელს კარგი იყო. წინანდელის მოსავლით ადგილობრივი გლეხ კაცობა მადლიერია. ალაგ ორი წილი მოვიდა შარშანდელთან და ალაგ თითქმის მეტიც. კარგი მოსავალი რომ იყო წელს, ეს მოხდა კარგის ამინდების წყალობით, მაგრამ რად გინდა კარგი მოსავალი? გლეხკაცობას გაჭირვება აიძულებს, ეხლავე გაყიდოს სიმინდი. ჰყიდის კიდეც ძლიერ იაფად, ფუთს 30-35 კაპეიკად. ასეთი იაფობა სიმინდისა ეს ათი წელია, რომ არ ყოფილა. ჰყიდიან ხშირად ისეთი პირნიც, რომელთაც მაისიდანვე ისევ მოუხდებათ სიმინდის ყიდვა. მაშინ ჩვეულებრივად ძვირი იქნება სიმინდი და ის გლეხი, რომელიც ეხლა ფუთ სიმინდს 30 35 კაპეიკად ჰყიდის, იძულებული გახდება იყიდოს 100—120 კაპ. რა ჰქმნას? ასე რომ არ იმოქმედოს მის ოჯახს ავთრიაქება მოელის დირეჯ მამასახლისისაგან. ასეთ დროს ჩარჩ-ბაცაცები დასავლეთ საქართველოში სამოქმედო ასპარეზზე გამოდიან. ჩარჩ-ბაცაცებმა იციან გლეხის მდგომარეობა, სარგებლობენ ამ მდგომარეობით და ჰყიდულობენ გლეხისაგან მის ოფლით შექმნილს მეტად იაფად. ერთის სიტყვით გლეხ-კაცობა ასეთ დროს მსხვერპლად ეწირება ჩარჩ-ბაცაცთა გაუმაძღარ მადას.. დიდ დახმარებას გაუწევდნენ გლეხ-კაცობას ასეთ მომენტში საკრედიტო ამხანაგობანი, რომელთაც სამწუხაროდ დღეს ადგილობრივი გლეხ-კაცობა მოკლებულია საკრედიტო ამხანაგობების წყალობით. ადგილობრივი გლეხ-კაცობა იოლად ამოსდებდა თავს ჩარჩ-ბაცაცების წრეს გადასულ, ადვილად მოქმედებას. არ სჩანს ძირეულ მცირე რიცხვი საკრედიტო ამხანაგობათა დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში, მაგრამ ამ მისი გლეხი ვერ სარგებლობს. ამისი ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი ის არის, რომ დღევანდელი საკრედიტო ამხანაგობანი მოკლებული არიან დემოკრატიულ მართვა გამგეობას. რეორგანიზაცია დღევანდელ საკრედიტო ამხანაგობათა და შექმნა ახალ საკრედიტო ამხანაგობათა, იხსნის გლეხკაცობას ჩარჩ-ბაცაცებისაგან. ადგილობრივ გლეხ კაცობის გაჭირვებას ცოტათი არის კოპერატიული მომხმარებელი საზოგადოებანიც შეამსუბუქებდნენ, რომ ასეთ საზოგადოებანი მაინც მოეწყობოდნენ დასავლეთ საქართველოს. დღეს გლეხი ხშირად სტყუვდება სანოვაგის ყიდვაში. ის ხშირად ჰყიდულობს უვარგის სანოვაგეს და ამავე დროს ხშირად უხდება სანოვაგეზე მეტი ფასის გადახდა. ასეთ ჩარჩებისაგან კი ადგილობრივ გლეხკაცობას იხსნიდა კოპერატიული საზოგადოება.

ინტელიგენცია, ეს ცადიერის სიტყვებით ქვეყნის აშენებელი, არაფერში არ ეხმარება ასეთ დროს ხალხს. ნაცვლად იმისა, რომ ინტელიგენციამ იზრუნოს ხალხის გაჭირვების შემსუბუქებაზე იგი ასეთ დროს ქეიფს „არ შეგცივდეს ბარამჯანსა" მღერის სამიკიტნოებში. ხალხის სამსახური მის მოვალეობიდან დრითა ბრუნვას 1905 წლის შემდეგ ამოუფხეკია. **მქილეხი.**

—

დ. ონი. უკვე დასრულდა ზემო რაჭაში ჯარის კაცთა გაწვევა. გამოირკვა, რომ წელს სამოცდა ათი კაცი დააკლდა ზემო რაჭისთვის სავალდებულო კომპლექტის შესრულებას. ამის მიზეზი ყველას მოეხსენება, მაგრამ აქ აღნიშვნა მოუხერხებელია...

ონის საზოგადოების ბოქაული დუმბაძე, (იალტის ცნობილ გენერალ დუმბაძის ძმა) დ. ხონში გადაიყვანეს საზოგადოების ბოქაულის თანამდებობაზე. ონის საზოგადოების ერთმა ნაწილმა ამასაც, მსგავსად კეთილის, გაუმართა გამოსალმების სადილი 26 ოქტომბერს. სადილზე, ჩვეულებრისამებრ, მრავალი „რჩეთ" დაიხარჯა; ბ. დუმბაძეს ხოტბა შეასხეს. მაგრამ ყველაზე დიდს შესანიშნავი იყო ერთი მოკლე, მაგრამ მეტად საგულისხმიერო და „შინაარსიანი" სიტყვა ბ. „ტოლუმბაშისა", დუმბაძის მიმართ: „როცა ჩვენ შენს სადღეგრძელოს ვსვამთ, არ შეგვიძლიან დავივიწყოთ უღრმესად პატივცემული თქვენი ძმა, გენერალი; მაშ გუსურვებთ-რა თქვენს ძმასაც ხანგრძლივ სიცოცხლესა და კვლავ წარმატებას ამაღლებას თავის სამსახურში,—გისურვებთ თქვენც მალე მოგეხვეჭოსთ და დაგემსახურებინოთ მისი სახელით და სხვა. როგორც ხმა დადის, ამ სადილზე პურისმჭამელთან დუმბაძეს უნდა იყოს გაგზავნილი სადილის წევრთა მიერ... ღმერთმა მშვიდობა და გამარჯვება მისცეს ონელებს, მაგრამ.... მაგრამ „სათქმელი ბევრი მაქვს და პირი წყლითა მაქვს სავსე"!.. **აბდიკანტი.**

თეატრი და ხელოვნება

ჭიათურა. კვირას, 7 ნოემბერს, ადგილობრივ დრამატიულ სცენის მოყვარეთა დასმა წარმოადგინა ბ. ბაჯიაშვილის 3 მოქმედ. კომედია „სიმდიდრის მსხვერპლი" და გ. გუნიას 1 მოქმედ. ვოდევილი „ხოლგერობა".

პირველმა პიესამ სუსტად ჩაიარა. არა უშავდათრა ბ. განელს დათიკოს როლში და ბ. ნიცუბიძეს ზაქარია ზაქარის ძის როლში.—სუსტად შეასრულა ბ. ანდიძემ ალექსანდრეს როლები პირველ ორ მოქმედებაში. მესამე მოქმედებაში კი უფრო უკეთესი იყო. როლის უცოდინარობაც ხელს უშლიდა.—როლის როლის უცოდინარობა ემჩნეოდა აგრეთვე ქ. სიხარულიძისას.

აქაურ სცენაზე პირველად ითამაშა თამრის როლი ქ. ჩხეიძემ, რომელიც სუსტობდა, მაგრამ მას სცენიურ ნიჭზე ჯერ-ჯერობით ვერაფერს ვიტყვით.

ვოდევილში კარგები იყვნენ ბ. დ. ჭავა მსახურის როლში და ბ. ნიცუბიძე თათრის როლში. ეს უკანასკნელი, საზოგადოდ, კომიკურ როლებს ძალიან მოხდენილად თამაშობს.—დანარჩენები, ბ. ჟურულის გარდა, რომელიც მამასახლის როლში ვერ იყო კარგი, ანსამბლს ხელს უწყობდნენ.

დრამატიულ საზოგადოების გამგეობას რეჟისორად მოუწვევია ბ. ა. წუწუნავა, რომელიც ჭიათურაში უკვე ჩამოვიდა.

როგორც გავიგეთ, გამგეობას, თავის უკანასკნელ სხდომაზე, დაუდგენია ორის მსახიობ ქალის მოწვევა, რის შემდეგაც მათ საკმარისი ძალები ეყოლებათ და იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ თანამედროვე პიესებსაც გვაღირსებენ. **დროებით ჭიათურელი.**

განცხადებანი

ექიმი ე. ხ. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და ხიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—223

ექიმი ნიკო ერისთავი ბათომში

სამხედრო სამკურნალოს ორდინატორი ღებულობს და არჩენს შინაგან, ბავშვებისა და ნერვებით ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე 1—3 საათამდის ფილტვებით, კუჭით, ნაწლევებით (ბავშვების ფაღარათით) და ქარებით (რევმატიზმით) ავადმყოფებს; ციებ-ცხელების დიაგნოზი ახალის მეტოდით, სისხლის და ნაწველის მიკროსკოპიული გამოკვლევა. ბათომი ვლადიკავკაზის ქ. N 24. (20—171—14)

დოქტ. ნავასარდიანისა

უოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან· და საბავშვო.

ბ. გ. აგახაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

საღამოთი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

თ. გ. გევეხკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

ისყიდება
500 ოთხკუთ. საჟენი
ზემო-ავჭალაში

ლობით და ერთი ოთახით. მსურველს ფასი შეუძლიან გაიგოს: რიყის ქუჩა, № 4, საპარიკმახეროში, შაქრო ბაზიეროვთან. (2—206—1)

გამოცდილი მასწავლებელი

განაგრძობს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლებისთვის: გიმნაზიისთვის, რეალურ, კომერციულ, ტეხნიკურ, სამოქალაქო, საფერშლო, რკინის გზის და სასულიერო სასწავლებლებისთვის, ამზადებს ყველა ხარისხის ჩინზე. ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. მსურველს მიიღებს მთელ ხარჯზედაც —პანსიონში, რომელნიც არ იქნებიან აცილებულნი 15 წ. სწავლაში მონაწილეობას მიიღებს სხვა მასწავლებლებიც).

მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათ. სად. 5—8 საათამდე. მეცადინეობა იქნება ორ ალაგას: ვორონცოვის ძეგლის მახლობლად და ნახალოვკაში, ავჭალის ქუჩაზე, ვაგზლის პირდაპირ.

ადრესი: Авчальская ул. с. д. N 133, кв. 4. (въ Нахаловкѣ противъ вокзала). (თ—152—17)

◀ მშობიარეთათვის ▶

თავშესაფარი
ბებია-ქალის
თუხარელისა.

ოლგას ქ., ბებიობ ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრადა მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—4დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—713)

◀ სამეურნეო ჟურნალი ▶

მოსავალი

წელიწადი მეორე

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უფასოდ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали".

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ნაკადული"

(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელიმომწერლებს:

24 წიგნი მცირე წლოვანთათ **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად 1. მარლეის აჩრდილ,—ჩარლზ დიკენსის მოთხრობა მოთხრობაში იქნება ჩართული სურათები. 2. ქართული ჭრატვრული ახლები კუბიკებზე.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; **საზღვარ-გარეთ:** წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში. „ნაკადულის"** რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთ ქარვლაში).

მოითხოვეთ ბუნებრივი
კახური ღვინოები
თავ. ალექ. მ. ჯორჯაძისა და ამხ.—ს.

საკუთარ ვენახებიდან.

საწყობი მიხეილის პროსპექტზე, სახლი № 86; აგრეთვე ისყიდება საუკეთესო მაღაზიებსა და რესტორანებში ხელმისაწვდომ ფასად. (30—186—7)

პოლტავის საადგილ მამულთ ბანკის

მთავარი აგენტი

● (ელისავეტპოლისა და ერევნის გუბერნიებისათვის) ●

ამით პატივისცემით საყოველთაოდ იუწყება, რომ სხვა და სხვა პირობების შესატყობად (გრძელ-ვადიანისა, მოკლე-ვადიანისა თუ სხვა-გვარ სესხის ასაღებად) და განცხადებათა მისაღებად, პირდაპირ მიმართონ ხოლმე უმთავრესს აგენტს ვილიამინოვის ქუჩა, N 9, ალექსანდრე სერგეის ძე ნოვიცკის. (4—177—3)

ტანისამოსის მკერავი
ი. ნ. სვანიძე

ტფილისი, ფოსტის ქ., სახლი ზუბალაშვილისა, № 6.

ამით აუწყებს თავის პატივცემულ შემკვეთებლებს, რომ სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მოხელეთა ფორმის ტანისამოსისათვის რუსეთისა და საზღვარ-გარეთის განსაკუთრებით სახელ-განთქმულ ფაბრიკებისაგან შევიძინე დიდძალი მაუდეულობა. ყოველა ტანისამოსს ჰკერენ გამოცდილი ხელოსნები

◀ **ჩემის ხელმძღვანელობით** ▶

ყოველა დაკვეთილი ტანისამოსი იკერება სუფთად და კეთილსინიდისიერად. (20—127—11)

ხილეულობის, ხელოვნური მინერალური და სამკურნალო წყლები
მ. ლაღიძისა და ამხ.

მზადდება მხოლოდ ბუნებრივ, ქიმიურად დაწმენდილ, ხილის წვნითა და საუკეთესო ხილეულის შარბათით, გამოხდილის წყლითა და წმინდა შაქრით.

წყალი მზადდება გაუმჯობესებულ მანქანებით სპეციალისტის მუდმივის ხელმძღვანელობით.

◀ **წყლების კარგი ღირსებისათვის ქარხანა დაჯილდოვებულია ოქროსა და ვერცხლის მენდლით.** ▶

ქარხნები: ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე ტელეფ. № 411.
ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე. (20—139—10)

საოჯახო ნომრები
ტფილისში

ქალაქის შუა ადგილი, ელისაბედის ქუჩა, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, სახლი ძმ მილოვისა № 1. ოთახები ნათელი და მშრალი, თბილი კარიდორებით. მოსამსახურეთ ქალები და კაცები; განათებული ელექტრონით. ნომრები ორ-ორი ოთახებიდანაც არის.

ფასი: 60 კაპეიკიდან 2 მანეთამდე; თვიურებს დაეთმობათ.
პატრონი ნომრებისა ს. მოლაცელიძე.
(30—181—6)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფოთოევის მრეწველობისა

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
ძმ. ძეგველოვების
● მაღაზიას ●

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

ახალ-ახალი
ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).
ხიზილალა

ახალი, (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები
მილეგულია ღვინის ორაგული (სიომგა)

და წითელი ხიზილალა (Кетовая). (წ.—128—28)

ერთად-ერთი საწყობი ფოთოევის მრეწველობისა.

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა